



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგებისა და კანონპროექტის პრეზენტაცია

გიორგი ბერაია
28.05.2018

პროექტის ძირითადი აქტივობები

- საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.
- საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლო პროცესების მონიტორინგი.
- დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი.
- კონკრეტულ საქმეებზე სასამართლოს მეგობრის პოზიციის მომზადება
- სასამართლოს საქმიანობის ზოგადი მონიტორინგი და შეფასება.

საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები

- სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ჩასატარებელი სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გონივრული ვადით ადრე ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.
- მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ უზრუნველყოს პროცესების ადეკვატური დაგეგმვა და დანიშნულ დროზე დროულად დაწყება.
- მნიშვნელოვანია, რომ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ გასცდეს ეთიკურ ფარგლებს და არ დატოვოს პერსონალური თუ პოლიტიკური დაპირისპირების აღქმა.
- პროცესების ხანგრძლივობის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის წესის ხარვეზები

- 2017 წლის 15 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს მოქალაქე ს.გ.-ს კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N864).
- საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში ცხადად უნდა გაწიეროს წესები თუ რა შემთხვევაში შეუძლია პირს მოითხოვოს პერსონალური მონაცემების დაფარვა, ასევე უნდა განისაზღვროს პროცედურა
- საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უნდა გამოქვეყნოს მიღებული სამართლებრივი აქტები, რათა არ წარმოიშვას საფუძვლიანი ეჭვები მათი მიღებისას პროცედურული წესების დარღვევასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოების პრობლემატური ასპექტები

- საკონსტიტუციო სასამართლომ მიმდინარე და დასრულებულ დისციპლინურ საქმეებთან დაკავშირებით სრულყოფილად უნდა გაასაჯაროვოს ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, საჯაროობის ინტერესის პროპორციული შეზღუდვით.
- საქართველოს პარლამენტმა და საკონსტიტუციო სასამართლომ დაიწყო მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის და შიდა აქტების დახვეწა იმდაგვარად, რომ გამოირიცხოს დისციპლინური სამართალწარმოების ბოროტად გამოყენების საფრთხეები.
- მნიშვნელოვანია მკაცრად განისაზღვროს მოსამართლის წინააღმდეგ არსებული დისციპლინური საქმის განხილვის და გადაწყვეტის ვადები, განუსაზღვრელი ვადით არ მიმდინარეობდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის ვადები

- „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალის კონსტიტუციურ სარჩელზე, (კონსტიტუციური სარჩელი N550). სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო სარჩელის შეტანიდან, 4 წლის 9 თვის და 13 დღის შემდეგ.
- სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმეების არსებითად განსახილველად მიღების პროცესის გაჭიანურება არ უნდა ტოვებდეს სასამართლოს მიერ რიგი საქმეების განხილვისგან თავის არიდების შთაბეჭდილებას;
- საკონსტიტუციო სასამართლომ 2016, 2017 წლების განმავლობაში ზედიზედ ორჯერ არ განიხილა საქმე, (N749 და 1215 სარჩელები) რომელიც შეეხებოდა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საკატორიარქოსთვის განკუთვნილი ასიგნებების არაკონსტიტუციურობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საშუალო ვადები

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი
1 წელი, 6 თვე და 20 დღე	1 წელი, 11 თვე და 10 დღე	1 წელი, 8 თვე და 17 დღე

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფის პრობლემები

- სასამართლო IDFI-ს საჯარო ინფორმაციას საშუალოდ განცხადების ჩაბარების თარიღიდან 55 დღის განმავლობაში აწვდიდა.
- სასამართლომ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი მიმდინარე დისციპლინური საქმეებთან დაკავშირებით.
- მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლომ სრულყოფილად შეასრულოს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.
- IDFI-ის მიერ 2018 წლის მარტში ჩატარებულმა საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდის მონიტორინგმა აჩვენა, რომ დადგენილების მოთხოვნების დაცვით გამოქვეყნებულია მხოლოდ 7 ქვეტიპის საჯარო ინფორმაცია, 5 - არასრულად, ხოლო საერთოდ არ არის გამოქვეყნებული- 25.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფინანსური ანგარიშების ანალიზის შედეგები

- საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს შიდა ფინანსური კონტროლის ეფექტიანი სისტემის დანერგვა.
- მნიშვნელოვანია, რომ შეიზღუდოს შესაბამისი დასაბუთების გარეშე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა.
- საკონსტიტუციო სასამართლომ უზრუნველყოს ავტოპარკის ოპტიმალური განკარგვა. აღსანიშნავია, 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის 176 150 ლარად შესყიდული ავტომობილი
- უნდა გადაიხედოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტების მოცულობა.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამი კოლეგიის ჩამოყალიბება

- სამი კოლეგიის ჩამოყალიბება დააჩქარებს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცესს.
- სამი კოლეგიის ჩამოყალიბების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება სხვადასხვა სუბიექტების მიერ განწესებული წევრების თანაბარი განაწილება კოლეგიებში.
- სასამართლოს თავმჯდომარე ხდება ერთ-ერთი კოლეგიის წევრი და სხვა მოსამართლეების მსგავსად მონაწილეობს საქმეთა განხილვაში.

კოლეგიების პერსონალური შემადგენლობა

- კოლეგიების შემადგენლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე და იგი უნდა ყალიბდებოდეს კენჭისყრით.
- თავმჯდომარის ცვლილება არ უნდა იყოს კოლეგიების გადახალისების საფუძველი
- სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის არჩევის წესის ცვლილება.

დისციპლინური პროცესის დახვეწა

- დისციპლინური სამართალწარმოების ვადები უნდა განისაზღვროს
- დისციპლინური სანქციის სახე უნდა დაემატოს
- მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარე არ უნდა იყოს უფლებამოსილი დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი

- მოსარჩელის მიერ შუამდგომლობის დაყენება მისი პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის შესახებ.
- შუამდგომლობას განიხილავს საქმის განმხილველი კოლეგია ან პლენუმი.
- სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის შუამდგომლობას, იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის შეზღუდვა არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცვად არის აუცილებელი ან/და კონსტიტუციური სარჩელისა ან წარდგინების ავტორის იდენტიფიცირების შემთხვევაში მისი უფლებების დარღვევის რეალური საფრთხე არსებობს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტები

- საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება თავად განსაზღვროს როდიდან ცხადდება აქტი ძალადაკრგულად.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხდება ახლად აღმოჩენილი გარემოება.
- შეიძლება განხილულ იქნეს კანონის უკუძალით გაუქმების საგამონაკლისო ე.წ. ავტრიული წესი მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით, რითაც წახალისებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის და კონსტიტუციური მართლწესრიგის დაცვის ინტერესი.

ძალადაკარგული ნორმის გასაჩივრება

- საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს განიხილოს ძალადაკარგული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი.
- პირებს შეიძლება ჰქონდეთ ძალადაკარგული ნორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადების სამართლებრივი ინტერესი.

პრიორიტეტული საქმეების განსაზღვრა

- საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე კონსტიტუციურ სარჩელს ან წარდგინებას მიანიჭოს პრიორიტეტი და განიხილოს დაჩქარებული წესით.
- თუ სადავოდ გამხდარი ნორმის/ნორმების მოქმედებით მოსარჩელეს თავისუფლება აქვს აღკვეთილი, ან ჩარევა ხდება მისი სიცოცხლის უფლებაში, ან საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადი ძირითადი კონსტიტუციური პრინციპების უზრუნველსაყოფად.

სადავო ნორმის მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით შეჩერება

- თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ ზოგადი შეჩერება შეუძლებელია, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მან უნდა გააგრძელოს მსჯელობა ინდივიდუალურ შეჩერებაზე.
- მესამე პირების უფლებების დაცვის ინტერესის საკითხი ინდივიდუალური შეჩერების დროს ნაკლებად არსებობს.

მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის ვალდებულება

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის ჩატარებამდე მოპასუხემ უნდა წარადგინოს თავისი წერილობითი პოზიცია.

საქმის განხილვის დროს სადავო ნორმის ცვლილება და მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა

- ათვლის წერტილმა, რომლის შემდეგაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების გაგრძელება სარჩელის რეგისტრაციაზე უნდა გადაინაცვლოს.
- მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა არ უნდა იყოს საქმის შეწყვეტის ავტომატური საფუძველი.

მოსარჩელის მიერ სადავო ნორმის არასწორ კონსტიტუციურ ნორმასთან გასაჩივრება

- თუ საქმის განხილვისას გამოიკვეთა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება იმ კონსტიტუციურ ნორმას, რომელზეც მოსარჩელე არ აპელირებდა, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გარემოების იგნორირება არ უნდა მოახდინოს.
- განსხვავებული მიდგომა შეიძლება იყოს სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით

დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე

- სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის დავებში დავის საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალური აქტებიც ან მოქმედებები.
- კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების ეფექტები თვითონ სასამართლომ უნდა განსაზღვროს.

სხვა საკითხები

- კანონში ზუსტდება მოწმის, ექსპერტისა და სპეციალისტის ცნება.
- საპროცესო ხარჯების დაკისრება იმ ორგანოსათვის, რომელმაც გამოსცა არაკონსტიტუციური აქტი.
- საქმეთა ხელახალი განხილვის შესაძლებლობა, როცა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები იცვლება
- მხარეთათვის სხდომის ჩანიშვნის შესახებ შეტყობინების და ვებგვერდზე განთავსების ვადების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას.

სხვა საკითხები

- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას.
- არარელიგიური ფიცის დადების შესაძლებლობა
- სადავო ნორმის შემოწმება ყველა იმ კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართებით, რომელიც მოცემულია კონსტიტუციურ სარჩელში